



პირველი საერთაშორისო გადაწყვეტილება საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ მნიშვნელოვან ხარვეზებს ავლენს სახელმწიფოს რეაგირებაში

“იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა კეთილსინდისიერად შეასრულებს გადაწყვეტილებას და განახორციელებს რეკომენდაციებს.

საქართველოს პირველად დაეკისრა პასუხისმგებლობა გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რამაც უნდა გამოიწვიოს დისკუსიები და გააუმჯობესოს რეფორმები ოჯახში ძალადობისა და ქალთა სისტემური დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.”

ბაია პატარაია, კავშირი “საფარი”

მაშინ, როდესაც მსოფლიოში ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება, საქართველოში ოჯახში წინააღმდეგ კამპანიის მონაწილეები ქვეყანას ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით პირველი საერთაშორისო გადაწყვეტილების განხორციელებისკენ მოუწოდებენ. [გადაწყვეტილება](#), რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა ორგანომ მიიღო, შეეხება დედა-შვილის წინააღმდეგ ხანგრძლივი და სასტიკი ძალადობის საქმეს. გადაწყვეტილება უნიკალური პრეცედენტია იმ მხრივ, რომ საქართველოს არა მხოლოდ მსხვერპლთა კომპენსაციისკენ, არამედ ფართომასშტაბიანი რეფორმების დაწყებისკენ მოუწოდებს, ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად ნულოვანი შემწყნარებლობის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე საქართველოში ოჯახში ძალადობა “საშინელ ტაბუდ” მოიხსენია. კომიტეტი ყოფილ საბჭოთა ქვეყანას აგრეთვე მოუწოდებს, მოახდინოს ევროპის საბჭოს [“სტამბულის კონვენციის”](#) რატიფიცირება, რომელიც ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის “ოქროს სტანდარტს” წარმოადგენს.

გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (შემდგომში, “კომიტეტი”) მიიღო გადაწყვეტილება საქმეში [X და Y საქართველოს წინააღმდეგ \(განაცხადის No.24/2009\)](#), რომელიც საერთაშორისო ორგანოს მიერ საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ მიღებულ პირველ გადაწყვეტილებას წარმოადგენს. კომუნიკაცია კომიტეტში დედამ (X) და შვილმა (Y) წარადგინეს. ისინი სახელმწიფოს ედავებოდნენ, შესაბამისად, მეუღლისა და მამის მიერ მიყენებული ხანგრძლივი ფიზიკური ძალადობის, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის პრევენციის, გამოძიებისა და დამნაშავის დასჯის ვალდებულების შეუსრულებლობას. საქმეს ერთობლივად აწარმოებდნენ მიდლსექსის უნივერსიტეტის “ადამიანის უფლებების ევროპული ცენტრი” ([EHRAC](#)) და საქართველოში მოქმედი არა-სამთავრობო ორგანიზაცია



“კონსტიტუციის 42-ე მუხლი”.

“ოჯახში ძალადობა აღიქმება პირად საქმედ და არა საზოგადო შემფოთების საგნად, განსაკუთრებით რეგიონებში... ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას, დაარღვიონ ეს საშინელი ტაბუ, საზოგადოება - განსაკუთრებით სოფლად - და/ან პოლიცია აიძულებს, დარჩნენ მოძალადეებთან და ხდება არა მარტო მათი ხელახალი ვიქტიმიზაცია, არამედ მათ ემუქრებათ ახალი ძალადობის რისკიც.”

(განაცხადა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, 2016 წლის თებერვალში [საქართველოში განხორციელებული ვიზიტის](#) შემდგომ).

ქალები ხშირად ძალადობის შემთხვევებს პოლიციას არ ატყობინებენ, ხოლო შეტყობინების მიღების შემთხვევაში, ხშირად პოლიცია საჭირო ქმედებებს საერთოდ არ ახორციელებს ან ახდენს მცირე რეაგირებას, ისიც დაგვიანებით. საქართველოს მთავრობამ გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაციის მზაკვრულ ფორმასთან ბრძოლა დაიწყო 2006 წელს, [“ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”](#) კანონის მიღებით (შემდგომში, “კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ”). კანონი ითვალისწინებს დროებით დამცავ ღონისძიებებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების სახით, სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს თავშესაფარი და სოციალური სერვისები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და მათი შვილებისთვის, წარმართოს ცობიერების ასამაღლებელი კამპანიები, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებების შესახებ, ასევე ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ. თუმცა, დღემდე სახელმწიფოს არ მოუხდენია [ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის](#) სრულფასოვანი და ეფექტური იმპლემენტაცია - მაგ. არსებული ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პოლიცია ხშირად არ იყენებს ნულოვანი შემწყნარებლობის მიდგომას; აგრეთვე, ისინი შესაბამისად და შესაფერისი მგრძობელობით არ ეპრყობიან დაზარალებულთა საჩივრებს. საქართველოში ქალთა უფლებების აქტივისტებისა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2014 წელს ქალთა რამოდენიმე გახმაურებული მკვლევარობასთან დაკავშირებით [გამართული პროტესტების შემდეგ](#), სახელმწიფომ დადო პირობა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტული საკითხი იქნება.

საქმე “X და Y საქართველოს წინააღმდეგ”

X-ის წინააღმდეგ ძალადობა დაიწყო 1987 წელს, როდესაც მისმა მომავალმა მეუღლემ წვეულებაზე გააუპატიურა. მალევე X-ი ცოლად გაჰყვა მას, ვინაიდან საქართველოში არსებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გამო ჩათვალა, რომ ქალიშვილობის დაკარგვის გამო



მას ცოლად აღარავინ მოიყვანდა. გათხოვების შემდეგ X-მა ხუთი შვილი გააჩინა. X-ის მეუღლე შვილებზე გამუდმებით ძალადობდა, ხშირად უყვიროდა და ცუდად მოქცევითვის ან ერთმანეთში კამათისთვის ფიზიკური ძალადობით სჯიდა. ქმარი X-ს რეგულარულად სცემდა, თუკი იგი ბავშვების დასაცავად ჩაერეოდა ან წვრილმან ოჯახურ საკითხებზე კამათს დროს. X-ის ქმარმა სექსუალური ძალადობა განახორციელა Y-ზე და მის ძმაზე. ორი ძალადობრივი შემთხვევის შემდეგაც კი, როდესაც X-ს სამედიცინო დახმარება დასჭირდა, მისი არაერთი მიმართვა “მეუღლის მიერ ცემის ფაქტებზე” და ბავშვებზე განხორციელებულ სექსუალურ ძალადობაზე დარჩა გამოუძიებელი, მისი მეუღლე კი დაუსჯელი. მომჩივნის ქმარს პოლიციამ ერთადერთხელ მოსთხოვა, დაეწერა ხელწერილი იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრების წინააღმდეგ ძალადობას აღარ გამოიყენებდა. აღსანიშნავია, რომ ხელწერილი არ არის აღსრულებადი.

კომიტეტმა დაადგინა სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულებების დარღვევა, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-2 მუხლის (ბ)-(ვ) პუნქტები, 1 და 5(ა) მუხლებთან და ასევე, კომიტეტის “ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ No. 19” რეკომენდაციასთან ერთობლიობაში. კერძოდ, კომიტეტმა დაადგინა სახელმწიფოს მიერ შემდეგი ვალდებულებების შეუსრულებლობა: შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომების, მათ შორის სანქციების მიღება, იქ, სადაც ეს საჭიროა, რომელიც აკრძალავს ქალთა ყოველგვარ დისკრიმინაციას; ქალთა უფლებების იურიდიული დაცვა მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე; თავის შეკავება ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ჩადენისაგან და უზრუნველყოფა იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად; ყველა საჭირო ზომის მიღება რომელიმე პირის, მხრივ ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად; ყველა საჭირო ზომის მიღება, მათ შორის საკანონმდებლოს, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ადათ-წესების და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომლებითაც დაშვებულია ქალთა დისკრიმინაცია; და მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კლუტურული მოდელების შეცვლა, იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უძევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა.

შესაბამისად, კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა: მომჩივნებისთვის ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის გადახდა; ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და მათი შვილების უზრუნველყოფა დროული და ადეკვატური მხარდაჭერით, მათ შორის თავშესაფრითა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით; ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების გააქტიურება და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება ქალთა



წინააღმდეგ (განსაკუთრებით კი ოჯახში) ძალადობასთან დაკავშირებით; ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ მოსამართლეების, ადვოკატების და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, მათ შორის პროკურორების სავალდებულო; ევროპის საბჭოს [“სტამბულის კონვენციის”](#) რატიფიცირება.

კომიტეტის დასკვნასთან დაკავშირებით, საქართველოში განხორციელებული ვიზიტის დროს სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა: *“რეკომენდაციები უთითებს საკანონმდებლო ჩარჩოს და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის დაძლევის კუთხით კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე.”*

“ადამიანის უფლებათა ევროპული ცენტრი” და “კონსტიტუციის 42-ე მუხლი” თანამშრომლობენ საქართველოში მოქმედ არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან, კომიტეტის რეკომენდაციების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. იმედი გვაქვს, რომ კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები პოზიტიურ გავლენას მოახდენს საქართველოში იმ ქალების მდგომარეობაზე, რომლებისთვისაც ოჯახური ძალადობა ყოველდღიური რეალობის შემადგენელი ნაწილია.

“მოცემული საქმე უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევაა როგორც თავად მომჩივანთათვის, ისე საქართველოსათვის. იგი ემსახურება გაეროს ორგანოებში საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის კონტექსტში სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის განმტკიცების სტრატეგიულ მიზნებს. მოცემულმა საქმემ შექმნა პირველი პოზიტიური პრეცედენტი საერთაშორისო ორგანოს მიერ საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისა.”

ელენა ფილევა, “კონსტიტუციის 42-ე მუხლი”

შენიშვნა: საქმე თავდაპირველად წარადგინა ორგანიზაციამ INTERRIGHTS, რომელიც მომჩივნებს წარმოადგენდა 2014 წლის მაისში ორგანიზაციის დახურვამდე. კომიტეტმა გადაწყვეტილება 2015 წლის 13 ივლისს მიიღო. დამატებითი ინფორმაცია კონკრეტული საქმისა და ზოგადად, საქართველოში ქალების წინააღმდეგ ძალადობის პრობლემის შესახებ ხელმისაწვდომია [ჩვენს რესურსებში](#).